

პატივცემულო კომისარო!

პირველ რიგში, გვინდა მადლობა გადაგიხადოთ საქმის ერთგულებისა და გაწეული შრომისთვის

გავითვალისწინეთ რა თქვენი მოსაზრებანიც, დავხვეწეთ ოქმი, რომელიც ამ ფორმით 1999 წლიდან არსებობდა და ერთობ ჩამორჩა რაგბის განვითარებას

სწორედ ამის გამო ხდებოდა, რომ თქვენი მონდომების და მიუხედავად, ვერ ხერხდებოდა ყველაფრის ზუსტად აღნუსხვა – სხვა რომ არა იყოს რა, მომრავლებული შეცვლები უბრალოდ ვერ ეტეოდა ნახაზში

ამიერიდან ესა და ბევრი სხვა პრობლემაც გადაიჭრება

თქვენ და თავად, პრინციპულად ახლებურად არაფერი არ უნდა აკეთოთ, მაგრამ ამ ინსტრუქციასაც გულდაგულ უნდა გადახედოთ, რათა აქედანვე გამოირიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა

@ თავფურცელი

ოქმის ზომა და გვერდების რაოდენობა უცვლელი დარჩა

პირველი, რაც მოგეთხოვებათ ეგაა, რომ დანამდვილებით გაარკვიოთ, ვინ მასპინძელია, ვინ – სტუმარი, და პირველ გვერდზე სწორად ჩაწეროთ

მანდვე თამაშამდე იწერება მატჩის მომსახურე პერსონალი:

რეფერი, ორივე თანა-მსაჯი, მეოთხე და მეხუთე (თუკი გვყავს), დროის მსაჯი | ვიდეო რეფერი – როცა გვეყოლება, ექიმი და თავად თქვენ – მეტვალყურე (იგივე "კომისარი")

თამაშის შემდეგ პირველ გვერდზე წერთ მარტო საბოლოო შედეგს – ნაკვეთში "ქულა" = პირველი ტაიმის ანგარიში ამ გვერდზე აღარ იწერება!

და იქვე ხელს აწერინებთ ორივე გუნდის მენეჯერს და მსაჯებს

@ გუნდის სია

ოქმის შიდა ფურცელზე, როგორც აქამდე ყოფილა, ახლაც მარცხენა ნახევარი მასპინძლისაა და მარჯვენა – სტუმრის

თამაშის დაწყებამდე გუნდი ჩამოწერს საკუთარ სიას =

მაქსიმუმ 23 მოთამაშე + მწვრთნელი

პოზ (პოზიცია) გრაფის მიხედვით სრულად ივსება სამი სვეტი (გრაფა):  
ჩამუქებული No (ნომერი), სახელი და გვარი

ამ ინფოს – მეტადრე კი ზურგზე წაწერილი ნომრების –  
ზუსტად მოწოდებაზე პასუხის-მგებელია გუნდის მენეჯერი,  
თქვენ კი მხოლოდ გევალებათ, რომ მას ეს შეახსენოთ და  
არ მიიღოთ არა-სრულად შევსებული სია

კაპიტნის ნომერი უნდა შემოიხაზოს

პირველ-ხაზელები უნდა ჩაიწერონ:  
დამწყებნი – პირველ სამ სტრიქონში,  
სათადარიგონი – სქელი მუქი ხაზის შემდეგ სამ სტრიქონში (1ხზ)  
ხოლო თუ რომელიმე პირველ-ხაზელი ძირითადში იწყებს,  
მის გვარს უნდა მიეწეროს (1ხზ)

შეახსენეთ მენეჯერს, თუ გუნდში ჰყავს სეხნია მოგვარეები,  
გუნდის განაცხადის მიხედვით, გვარს მიუწეროს (უფრ) და (უმც)

შევსების შემდეგ მენეჯერმა იქვე უნდა მოგიწეროთ ხელი,  
თქვენ კი დაუსვათ შევსების დრო

თუ ჩამოგიწერეს 23 კაცზე ნაკლები, ცარიელი სტრიქონები გახაზეთ,  
რათა მერე და მერე ველარავინ ჩაემატოს

პოზიციათა კოდები რაგბში ჩახედული პირისთვის ცხადია,  
ხოლო მარქაფაში ბოლო 5 კაცს იმიტომ უზის არაფერი (:),  
რომ წესებით შეზღუდული არაა, მანდ ვის დაისვამ

@ ბურთის გატანა

თამაშის დროს ძველებურად აღნუსხავთ ბურთის გატანას:

ლელო და გარდასახვა – მარცხნიდან მარჯვნივ >>  
ჯარიმა და არეკნი – მარჯვნიდან მარცხნივ <<

ამით ეს ორი განსხვავებული ხერხი ერთმანეთში ვერ აგერევათ

მაგის გარდა, თუ დაიდო ძან ბევრი ლელო,  
ჩაწერა შეგიძლიათ გააგრძელოთ მომდევნო ორ სტრიქონში  
და ლოგიკით, ისინი არ შეეჯახებიან არეკნებსა და ჯარიმებს

და პირიქითაც, თუ გავიდა ძან ბევრი ჯარიმა,  
ლელო დაიდება ცოტა და არც ამჯერად მოხდება გადაფარვა

@ მიმდინარე ანგარიში

პრინციპული სიახლე ისაა, რომ მიმდინარე ანგარიში აღარ უნდა იცოდეთ ზეპირად – ამის ნაცვლად, იგი უნდა ჩაწეროთ ფურცლის შუაში ჩამატებულ, ახალ ზოლში (გამყოფად უკვე უზის :)

ჩვენი რჩევაა, დაელოდოთ გარდასახვას და მერეღა მიუმატოთ 5 ან 7 ქულა

ასევე მოგეთხოვებათ, მაგ ნაკვეთშივე ორივე ტაიმის ბოლოს გაავლოთ მუქი ხაზი – ჯერ ერთმაგი, მერე ორმაგი, რათა დაფიქსირდეს ორივე ანგარიში და ველარავინ შეცვალოს

@ შეცვლა

გაიოლდა შეცვლათა ჩაწერაც – გამოიყო საგანგებო სვეტი

თანამედროვე წესებით, შეცვლათა რაოდენობამ ერთობ იმატა – ისინი სხვადასხვა მიზეზით ხდება და ხშირია გასულის დაბრუნება

თქვენი ამოცანაა, კეთილ-სინდისიერად = გამონაკლისთა გარეშე, ჩაწეროთ უკლებლივ ყველა შეცვლა – მიზეზში ჩაუძიებლად

ანუ შეცვლაა ნებისმიერი ქმედება (მათ შორის დაბრუნებაც), როცა ერთი მოთამაშე გადის და მის ნაცვლად სხვა შედის

შეგახსენებთ, რომ ვერანაირი შეცვლა ვერ გაკეთდება თქვენს გარეშე, თქვენ კი უბრალოდ უნდა ჩაწეროთ გასულის ნომერი თეთრ გრაფაში და შესულისა – ჩამუქებულში

შენიშვნა: თუ გუნდმა მოითხოვა ცრუ შერკინება, მაშინ მოგეხსენებათ, რომ უნდა მოიკლოს კაცი

ამ დროს გამოკლებული არის გასული, ხოლო შესული უნდა გადახაზოთ (X)

@ სინბინი

გამარტივდა სინბინის (10 წუთით გაძევების) აღნუსხვაც

ამისთვის გუნდის სიას დაემატა ჩამუქებული გრაფა (სბ)

ჰოდა, თუ კაცი გაასინბინეს, ეგ უჯრა უბრალოდ უნდა გადახაზოთ (X)

შენიშვნა: უწინ სინბინი იწერებოდა ბოლო გვერდზე და თან ეთითებოდა მიზეზი, რომელიც არავის ჭირდებოდა

@ ბოლო გვერდი

მანდ დარჩა ოთხი ნაკვეთი: წითელი ბარათი, ტრავმა, საჩივარი, თქვენი დასკვნა

რაკი წითელი ბარათი სერიოზული დარღვევისთვის გაიცემა, უნდა მიეთითოს მიზეზიც, რადგან საკითხი სადისციპლინო კომისიაში უნდა გაირჩეს

შენიშვნა: ორი სინზინი = წითელს და ამ დროს მაგას მიუთითებთ მიზეზად

არსებითია ტრავმების სრულად და დეტალურად ჩამოწერაც, რაკი ბიჭებს დაზღვევის წყალობით შეღავათი ეკუთვნით მკურნალობაში

შენიშვნა: ამ გვერდზე "გუნდი" გრაფაში ჩაწერეთ "მასკ" და "სტუმ" (აქამდელი ანისა და ბანის ნაცვლად – რომელიც ხშირად გერეოდათ), ან გუნდის სახელი შეამოკლეთ სამ ასომდე: ლელ, ყოჩ, ლოკ, ჯიქ ...

@ ბოლოთქმა

რაკი ვერარა სისტემა უნაკლო ვერ იქნება, მოგვაწოდეთ შენიშვნები და მოსაზრებანი

11/02/2016